ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№5(121)
მაისი
2024 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

რაც გვეამაყება და გვაერთიანებს

წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მთავარი მესიჯი იყო – "რაც გვეამაყება და გვაერთიანებს". სწორედ ამ სულისკვეთებით წარიმართა საზეიმო ღონისძიებები, რომლებიც 10:00 საათზე, დედაქალაქის თავისუფლების მოედნიდან დაიწყო, სადაც, ტრადიციულად, ახალწვეულებმა ფიცი დადეს. ფიცის დადების საზეიმო ცერემონია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიმართა.

საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**, რომელმაც თქვა:

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ თითოეულ ქართველს, ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, რომელიც საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ზეიმობთ ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს...

3000 წელია, ქართველები ერთგულად შრომობდნენ, იბრძოდნენ და თავს წირავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. იმპერიათა გზაგასაყარზე, სწორედ ამ ერთგულებამ და თავგანწირვამ შეაძლებინა ჩვენს პატარა, მაგრამ ამაყ ქვეყანას, შეენარჩუნებინა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ქედს ვიხრი თითოეული გმირის წინაშე, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობას ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე შესწირა.

დასასრული მე-3 გვერდზე

წეროვნის № 3 და ახალდაბის საჯარო სკოლებში „ბოლო ზარი" დაირეკა

6

საქართველოს პარლამენტმა III მოსმენით მიიღო კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ

4

დღეს პრიორიტეტი სტიქიით დაზარალებულთა დახმარებაა

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელსაც სრულიად საქართველო ზეიმით აღნიშნავს...

წეროვნის დევნილთა დასახლებაში ამ დღისთვის ლამაზი ღონისძიებები გვქონდა დაგეგმილი და დაანონსებული, მაგრამ, სამწუხაროდ, 26 მაისის დილას ბუნების სტიქიის წინაშე აღმოვჩნდით. უხვმა ნალექმა დატბორა დასახლების მნიშვნელოვანი ნაწილის საცხოვრებელი სახლები, მისასვლელი გზები...

ფართო მასშტაბის პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით. სტიქიასთან გამკლავება დიდ ძალისხმევას და სხვადასხვა ღონისძიების გატარებას მოითხოვს. დატბორილი სახლებისა და მისასვლელი გზების გაწმენდა-გასუფთავებასთან ერთად სოციალური დახმარება ესაჭიროებათ აქ მცხოვრებლებს. არ იყო წყალი, ელექტროენერგია...

დასასრული მე-4 გვერდზე

სტიქია წეროვნის დევნილთა დასახლებაში

მაისის ბოლო რიცხვებში მოსულმა უხვმა ნალექმა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მასშტაბით პრობლემები შექმნა. რამდენიმედღიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად, რეგიონის სხვადასხვა ლოკაციაზე დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, შიდა საუბნო გზები, დაზიანდა ხიდ-ბოგირები, ელექტრო გადამცემი ხაზები, ასევე დაიტბორა საკარმიდამო ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რამდენიმე სოფელს შეუწყდა ელექტრო ენერგიის მიწოდებაც.

სტიქიურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად დააზარალა წეროვნის დევნილთა დასახლება, თიანეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულები. ასევე, მცხეთის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლები.

სტიქიის ზონებში ჩავიდნენ თვითმმართველობის წარმომადგენლები. მათ შორის წეროვანის დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდა მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი დიმიტრი ზურაბიშვილი, მერის მოადგილე გიორგი ბაჯაძე. სტიქიის ადგილზე მყისიერად გავიდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები. ასევე მობილიზებული იქნა ყველა შესაბამისი უწყება.

სტიქიის შედეგებს გაეცნო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკა ტყემალაძე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მოსახლეობისგან პირადად მოისმინა მიყენებული ზიანის შესახებ ინფორმაცია, დაათვალიერა დაზიანებული ინფრასტრუქტურა. ნიკა ტყემალაძის განცხადებით, ცენტრალურ ხელისუფლებას მჭიდრო კომუნიკაცია აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მუნიციპალური სამსახურები და შესაბამისი უწყებები მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ მოქალაქეებთან შეხვედრებს, ადგილზე მობილიზებულია სპეცტექნიკა და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

უამინდობის გამო შექმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტების მასშტაბით შესაბამისი ღონისძიებები ტარდება. პარალელურად, შექმნილია სტიქიისგან მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიაც.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უკვე დაიწყო სტიქიისგან მიყენებული ზარალის პირველადი აღრიცხვა. დაზარალებულ ოჯახებს ხვდებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ამასთან, ცნობილია, რომ დროებითი საცხოვრებელი ფართითა და საკვები პროდუქტით უზრუნველყოფილი იქნება წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ოჯახები, რომელთაც ამის საჭიროება გააჩნიათ.

მოსახლეობას, რომელიც სტიქიის გამო დაზარალდა და უხვმა ნალექმა სახლები დაუტბორა, შეუძლია დარეკოს ნომერზე: 577 95 32 02.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
ელფოსტა: gazeti.akhalgori@gmail.com

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, დავით ნოზაძის ხელმძღვანელობით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი მოადგილესთან ერთად, ახალგორის, ერედვისა და ქურთის მუნიციპალიტეტების გამგებლები ესწრებოდნენ.

მხარეებმა დეტალურად განიხილეს წეროვანის დევნილთა დასახლებაში მომხდარი სტიქიის შედეგები, განხორციელებული და გასატარებელი სალიკვიდაციო ღონისძიებები.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სტიქიისგან მიყენებული ზარალის პირველადი აღრიცხვის სამუშაოები აქტიურად ხორციელდება, ასევე, მიმდინარეობს შესაბამისი აქტების მომზადება. ადგილობრივ ხელისუფლებას ინტენსიური კომუნიკაცია აქვს დაზარალებულ ოჯახებთან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი საცხოვრებელი ფართითა და საკვები პროდუქტით უზრუნველყოფილნი იქნებიან.

პარალელურად, მცხეთისა და ახალგორის მუნიცი-

რაც გვეამაყება და გვაერთიანებს

პირველი გვერდიდან

106 წლის წინ, 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ რესპუბლიკას, რომელმაც, მართალია, მხოლოდ, 3 წელიწადი იარსება, მაგრამ დემოკრატიული მმართველობის უძვირფასესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

70-წლიანი საბჭოთა მმართველობის დასასრულს, 1990 წელს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, ხოლო 1991 წელს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. მას შემდეგ, საქართველო გადის ერთგვარ მოსეს გზას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, „აღთქმულ მიწამდე" აუცილებლად მიგვიყვანს.

ჩვენი „აღთქმული მიწა", ანუ ქართული ოცნებაა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 40 წლის თავზე - 2030 წელს ვიცხოვროთ ერთიან და ძლიერ საქართველოში ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ერთად, ერთიანი და ძლიერი საქართველო უნდა გახდეს 2030 წელს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.

გასული 34 წლის მანძილზე, საქართველომ მრავალი განსაცდელი გამოიარა. გამოვიარეთ სამი ომი 90-იანი წლების დასაწყისში. 2004-2012 წლებში გამოვიარეთ ფაქტობრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, ავტორიტარიზმი, აგენტურის მმართველობა და მეოთხე ომი. საზოგადოების გამოუცდელობა და პოლიტიკოსების ღალატი ჩვენს ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტის დროებით დაკარგვად დაუჯდა. 2012 წლიდან დღემდე, გამოვიარეთ საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შერყევის არაერთი მცდელობა, განსაკუთრებით ბოლო 4 წლის განმავლობაში.

საქართველო და მისი დამოუკიდებლობა დღესაც ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას. თუმცა, დღეს ქართული საზოგადოება ბევრად უფრო გამოცდილია, ვიდრე დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში იყო, ხოლო ქვეყანას მართავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დგას და მის ეროვნულ ინტერესებს იცავს.

სწორედ ხალხისა და მის მიერ არჩეული ხელისუფლების ერთიანობამ და გონივრულმა ნაბიჯებმა მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ ეგზისტენციური საფრთხეების და მრავალმხრივი ღალატის, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის ღალატის მიუხედავად, გასული 2 წლის განმავლობაში ქვეყანაში მშვიდობა შეგვენარჩუნებინა.

საქართველოს უახლესმა ისტორიამ და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა განსაკუთრებული სიცხადით დაგვანახა, რომ სუვერენიტეტი ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე ეფექტიანი გარანტიაა. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს ეროვნული იდენტობის სამ საყრდენს - მამულს, ენას და სარწმუნოებას. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და დავამარცხოთ სიძულვილი, რადგან მტრობით დანგრეულის შენება მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი...

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ღმერთი იყო ჩვენი ქვეყნის მფარველი!"

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, თბილისის გარდა, საქართველოს 18 ქალაქში აღინიშნა განსაკუთრებულად.

17:10 საათზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიულ დროს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა 300-მა ბავშვმა, რომელთა შორის იყვნენ საზღვარგარეთ მოქმედი ქართული სათვისტომო სკოლების მოსწავლეები.

26 მაისის საზეიმო ღონისძიებები დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გალა კონცერტით დასრულდა, რომლის მთავარი თემა იყო - ამბავი საქართველოზე. გალა კონცერტის წლევანდელი პროგრამა სრულად ფოლკლორს დაეთმო და მასში საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორული ანსამბლების 1000-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის ღირსშესანიშნაობები საქართველოს დროშის ფერებში განათდა.

პალიტეტების შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, გრძელდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები. იწმინდება უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლები, ეზოები, მდინარისა და ხევის კალაპოტები, ტარდება ყველა სხვა საჭირო ღონისძიება.

დავით ნოზაძემ შეხვედრის მონაწილეებს კოორდინირებული და ოპერატიული მუშაობისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, პრიორიტეტი მოსახლეობისთვის დახმარების გაწევაა.

"სტიქიისგან დაზარალებული მოქალაქეების გვერდში დგომა უმნიშვნელოვანესია. აუცილებელია ზარალის ოპერატიული დათვლა, რათა შემდგომი ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას. ასევე, მნიშვნელოვანია, სწრაფად მოგვარდეს ყველა ის პრობლემა, რაც უხვმა ნალექმა ინფრასტრუქტურას შეუქმნა. პროცესში ჩართულია ყველა შესაბამისი უწყება. მათთან ერთად ინტენსიურად გავაგრძელებთ აქტიურ მუშაობას, რათა დროულად გატარდეს სათანადო ღონისძიებები," - აღნიშნა დავით ნოზაძემ.

დღეს პრიორიტეტი სტიქიით დაზარალებულთა დახმარებაა

პირველი გვერდიდან

იმავე დღეს ვითარების ადგილზე გასაცნობად და დასახმარებლად ჩამოვიდნენ მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი დიმიტრი ზურაბიშვილი, მერის მოადგილე გიორგი ბაჯაძე...

ოპერატიულად დავიწყეთ სტიქიისაგან მიყენებული ზარალის პირველადი აღრიცხვა, დაზარალებულ ოჯახებს გავუწიეთ პირველადი დახმარება, შეიქმნა კომისია სტიქიით მიყენებული ზარალის შედეგების შესასწავლად, რომელიც ოპერატიულად და მაღალი პასუხისმგებლობით შეუდგა მუშაობას.

მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრის ჩართულობით აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშოები, იწმინდება უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლები, ეზოები, მისასვლელი გზები, ტარდება ყველა შესაბამასი ღონისძიება.

სტიქიის სალიკვიდაციოდ ჩვენს გვერდითაა მცხეთა-მთიანეთისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი. ერთობით, ერთმანეთის გამხნევებითა და გვერდით დგომით შევძლებთ სტიქიასთან გამკლავებას, ყველა საჭირო და აუცილებელი ღონისძიების გატარებას, რათა ჩვენი ხალხი ცხოვრების ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდეს.

გელა შერმადინი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი

26 მაისი, 2024 წელი

მერაბ კოსტავა — 85



წელს, 26 მაისს, საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას დაბადებიდან 85 წელი შესრულდა.

მერაბ კოსტავა 1939 წლის 26 მაისს თბილისში, ოლღა დემურიასა და ივანე კოსტავას ოჯახში დაიბადა. 1946 წელს მერაბ კოსტავა შეიყვანეს თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში (დღევანდელი თბილისის კლასიკური გიმნაზია). ამ სკოლაში გაიცნეს ერთმანეთი ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. აქვე გადაწყვიტეს, ებრძოლათ სამშობლოს თავისუფლებისთვის. მეგობრებისა და მათი თანამოაზრეების ზნეობრივად ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ქართველმა კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მერაბ კოსტავა ბევრჯერ იყო რეპრესირებული, დაპატიმრებული, გადასახლებული. ბოლოს 1987 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და ზვიად გამსახურდიასთან ერთად განაგრძო ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის. 1989 წლის 13 ოქტომბერს იგი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.

მერაბ კოსტავა წერდა ლექსებს, ფილოსოფიურ, თეატრალურ, ლიტერატურულ ესეებს. თარგმნიდა ცნობილი მწერლების ფილოსოფიურ ნაწარმოებებს. ლიტერატურული მოღვაწეობისთვის მინიჭებული აქვს ორი პრემია - დავით აღმაშენებლისა და მწერალთა კავშირის.

მერაბ კოსტავა დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონპროექტი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ

საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" მესამე მოსმენით მიიღო, ხმა 84-მა დეპუტატმა მისცა, წინააღმდეგი კი 30 იყო. ამით კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის პროცესი დასრულდა. პროექტი ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაეცემა.

კენჭისყრამდე დეპუტატები როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიებიდან კვლავ ხსნიდნენ, თუ რას მოუტანს მათი პერსპექტივიდან ეს კანონი საქართველოს. მმართველი პარტიის დეპუტატები ირწმუნებიან, რომ ეს კანონი საქართველოს სჭირდება სუვერენიტეტის დასაცავად და გასამყარებლად. "ქართულ ოცნებაში" მიაჩნიათ, რომ დასავლეთიდან, ქვეყნის შიგნიდან არიან კონკრეტული ძალები, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს. მათი თქმით, სამოქალაქო სექტორის ამ პრობლემას მოაგვარებს სწორედ "გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტი.

"ეს კანონი ემსახურება საქართველოს დემოკრატიის დაცვას, საქართველოს პოლიტიკური სისტემის დაცვას ნებისმიერი გარე ჩარევისგან. დღეს მსოფლიოში დემოკრატიული სისტემები სულ უფრო მეტად ხდება გარე ჩარევისა და ზეგავლენის სამიზნე. ამ სფეროში კანონმდებლობა აქვს ევროკავშირის 15 სხვადასხვა წევრ სახელმწიფოს და ევროკავშირმა გამოსცა სპეციალური რეკომენდაცია, სადაც მოუწოდა დანარჩენ ქვეყნებს, რომ შეიმუშაონ გამჭვირვალობის რეესტრები", — განაცხადა "ქართული ოცნების" წარმომადგენელმა არჩილ თალაკვაძემ.

ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილების პირდაპირი და ეგზისტენციალური საფრთხე ქვეყანაში, თავისუფალი სამოქალაქო და მედიაორგანიზაციების მუშაობის შეწყვეტა — სწორედ ასე აფასებს საპარლამენტო ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა ამ კანონპროექტის მიღების რეალურ შედეგებს. მათი განცხადებით, თუ ეს კანონი ქვეყანაში სრულად ამოქმედდება და გავრცელდება, ქვეყანაში აღარ იქნება თავისუფალი სიტყვის დამცველი არცერთი ორგანიზაცია.

კანონის მიღებას გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, რომელმაც აღნიშნა: **„ქვეყნის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ, რომელიც ქართველი ხალხის მიერ არის არჩეული და მხოლოდ ქართველი ხალხის წინაშე არის ანგარიშვალდებული, იმოქმედა სწორედ ქართველი ხალხის ნების შესაბამისად და შექმნა უმნიშვნელოვანესი სამართლე-**

„საქართველოს ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა 2024-2026“

„საქართველოს ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა 2024-2026“-თან დაკავშირებით, მცხეთაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე - მზია გიორგობიანი, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულები - დავით ნოზაძე და ლევან ხარაბაძე, რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსი - გიორგი დიდიძე და მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ.

შეხვედრაში მონაწილეობა ასევე მიიღეს პროექტის ექსპერტმა, სამხარეო ადმინისტრაციისა და მერიების სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა.

სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ასევე, მხარეთა ჩართულობის გაძლიერების გზით, ინოვაციური იდეების გენერირებისა და პროექტების მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

იშეხვედრის ფარგლებში, მონაწილე მხარეებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს „საქართველოს ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა 2024-2026“-ის შესახებ, რომელიც ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერაა შემუშავებული. ასევე, საუბარი შეეხო დაფინანსების შესაძლებლობებს, ინტეგრირებული განვითარების პროექტების მაგალითებს, პროგრამის განხორციელების ეტაპებსა და სხვა თემატურ საკითხებს.

აღდგომის დღესასწაული მიულოცეს

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მცხეთის მერიის ხელშეწყობით, დევნილთა სამივე დასახლებაში - წეროვანში, წილკანსა და ფრეზეთში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით , სასურსათო პაკეტები გადასცა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა, მოადგილე ბონდო ყველაშვილმა, მცხეთის მერმა დიმიტრი ზურაბიშვილმა, მცხეთის საკრებულოს დეპუტატმა ჯონი ბაშარულმა და ადგილობრივი ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებმა ოჯახებს პირადად გადასცეს კუთვნილი ნობათი და მიულოცეს აღდგომის დღესასწაული. ახალგორის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის მცხეთის მერიას ყურადღებისა და გვერდში დგომისთვის.

ბრივი საფუძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განსამტკიცებლად.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, უცხოური გავლენის გამჭვირვალობას საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი უჭერს მხარს, ხოლო უშუალოდ კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ", უცხოელების კრიტიკის ფონზე, მხარდაჭერას მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი უცხადებს...

შეგახსენებთ, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონი ითვალისწინებს ერთადერთ რამეს - უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების მიერ წელიწადში ერთხელ ფინანსური დეკლარაციის გამოქვეყნებას. შეუძლებელია ამგვარი კანონის წინააღმდეგ რაიმე არგუმენტი არსებობდეს.

საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება იცოდეს, ვინ ვისგან ფინანსდება ამ ქვეყანაში, ვინ ატარებს უცხოური ძალის დადებით ან უარყოფით ინტერესებს საქართველოში. ასეთ პირობებში, ქართული საზოგადოება საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის ნებისმიერი მცდელობისგან უკეთ იქნება დაცული...

ჩემთვის გასაგებია იმ ძალების აღშფოთება, რომლებიც გაუმჭვირვალობით სარგებლობას, საქართველოში რევოლუციის მოწყობას, მეორე ფრონტის გახსნას და საქართველოს უკრაინიზაციას გეგმავდნენ. დღეს მათ იმედები გაუცრუვდათ, რადგან უცხოური გავლენის გამჭვირვალობა ამგვარ სცენარს ეფექტურად დააზღვევს.

მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის თითოეულ წევრს, რომელმაც მხარი დაუჭირა კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" და ამით უერთგულა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, მის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს...

გამჭვირვალობის შესახებ კანონი შექმნის უკეთეს ნიადაგს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების უზრუნველსაყოფად. როგორც არაერთხელ აღინიშნა, 2030 წლისთვის საქართველო ევროკავშირში გასაწევრიანებლად ყველა კანდიდატ ქვეყანაზე უკეთ იქნება მომზადებული და საქართველო ღირსებით, დამოუკიდებლობით, თავისუფლებითა და სუვერენიტეტით გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა.“

კანონპროექტი “გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით”, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მედიასაშუალებების რეგისტრაციას ითვალისწინებს, რომელთა შემოსავლის გარკვეული მოცულობა, კერძოდ, 20%-ზე მეტი უცხოეთიდან არის მიღებული.

ჩვენ ერთად ვართ

წეროვნის დევნილთა დასახლებაში, ერთ მყუდრო ქუჩაზე, ყვავილებით შემოფარგლულ სახლში ცხრა ბენეფიციარი ცხოვრობს დიდ ლამაზ ოჯახში, სადაც სითბოს, სიყვარულს, ურთიერთპატივისცემას დაუსადგურებია და რომელსაც მზრუნველობას არ აკლებს გულისხმიერი და მათი მოყვარული ქალბატონი მანანა ელბაქიძე.

ხალისიანი, ლამაზი დღეები, ყურადღება და დღესასწაულის მოწყობა ყველას ახარებს, მოტივაციასაც უმაღლებს და მით უმეტეს, ბენეფიციარებს. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებასთან ყოფნა და კომუნიკაციაა, რომელიც მათ განვითარებასა და ჩვევების უკეთესად წარმართვასაც უწყობს ხელს. ქალბატონი მანან ელბაქიძე ყველანაირად ცდილობს მათი ცხოვრება არ იყოს მოწყენილი, დარდიანი. ძალ-ღონის დაუზოგავად, პროფესიონალიზმით ირჯება მთელ დღეს. ამ ცენტრის ბინადართ ზოგჯერ სახლში წასვლაც აღარ უნდათ. თითოეულ მათგანს დაბადების დღეს საზეიმოდ აღუნიშნავს, რაც ძალიან ახარებთ. ქართულ -ამერიკულ სკოლასთან ერთად ცენტრმა განახორციელა პროექტი ''გასეირნება მთაწმინდაზე'' ... ბენეფიციარები სიხარულს ვერ მალავდნენ, სხვადასხვა გასართობ ადგილზე მისვლით, დათვალიერებით, გართობით... მადლიერებასაც გამოხატავდნენ.

დღის ცენტრს ''ჩვენ ერთად ვართ'' ხშირად სტუმრობენ ''ბარამბოს'' წარმომადგენლები ტკბილეულეულით და საჩუქრებით.

– ეს დღის ცენტრი, ჩემთვისაც და ბენეფიციარებისთვისაც მეორე ოჯახია, – მითხრა ქალბატონმა მანანა ელბაქიძემ, – ერთად ვცხოვრობთ, ვიცინით, ვსადილობთ, ვთამაშობთ, ვსაუბრობთ, სასეირნოდაც დავდივართ... დღესასწაულებს ერათად ვზეიმობთ და ერთად გვიხარია... ეს ჩემი სამსახური კი არ არის მხოლოდ, მორალური პასუხისმგებლობაა, ზოგჯერ მგონია, თითქოს უფლის დავალებას ვასრულებ, რადგანაც ბენეფიციარებთან მუშობა იოლი არ გახლავთ, სხვანაირი ურთიერთობა, კომუნიკაცია, მზრუნველობა სჭირდებათ... მათ უნდა იგრძნონ , რომ არავინ არ ერიდება, ყველას უყვართ და მათთან ურთიერთობაც უხარიათ, ეს ჩემი დანიშნულებაა, პირდაპირი საქმეა... ბენეფიციარები სახლში ტრანსპორტით მიგვყავს, სადილი გემრიელი და ეკოლოგიურად სუფთაა... ცენტრის მორალური და ფინანსური მხარდამჭერია ევროკავშირის მცხეთის ოფისი. ისინი ხშირად გვსტუმრობენ და ბენეფიციარებს საჩუქრებს გადასცემენ, მათთან ერთად ატარებენ რამდენიმე საათს.

ბოლოთქმა: მათთან სტუმრობით დაუფლებული სევდა გამიფერმკრთალდა , როცა ვნახე და დავრწმუნდი, რომ მათზე გულწრფელად ზრუნავენ, ისინი ჩვენი საზოგადოების წევრები არიან და რაც მთავარია ამ არაჩვეულებრივი, ხალისიანი, გულმზიანი ქალბატონის მანანა ელბაქიძის ძალისხმევით ჩვენ ერთად ვართ.

წეროვნის № 3 და ახალდაბის საჯარო სკოლებში „ბოლო ზარი“ დაირეკა

20 მაისს „ბოლო ზართან“ დაკავშირებით ღონისძიებები გაიმართა წეროვნის №3 და ახალდაბის საჯარო სკოლებში.

დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს სწავლის დასრულება პირადად მიულოცეს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა და საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა.

„დღეიდან თქვენთვის ახალი ეტაპი იწყება - ახალი პასუხისმგებლობებით, ურთიერთობებითა და მიზნებით. დარწმუნებული ვართ, ყველა თქვენგანი იპოვის საკუთარ ადგილს და ქვეყნის საკეთილდღეოდ მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს.

წარმატებებს და თქვენი ყველა ოცნების ასრულებას გისურვებთ ახალი ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვან გზაზე". - მიმართა კურსდამთავრებულებს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა.

ახალგორის განძი

ახალგორის მუნიციპალიტეტის კორინთის თემში, ქსნის მარჯვენა მხარეს, დაბის ცენტრიდან 12 კმ.-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 1050 მეტრზე მდებარეობს ქსნის ხეობის ერთ-ერთი უძველესი სოფელი საძეგური.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, საძეგურის სამხრეთით ზეზეყურის „კლდეს ქუეთ მტკურამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი... და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი". ცნობილ ისტორიკოსს და გეოგრაფს საძეგური თავის რუკაზეც აქვს აღნიშნული...

საძეგურის შესახებ ცნობებს გვაწვდის გერმანელი მოგზაური იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტიც, რომელმაც ქსნის ხეობაში XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა. იგი კორინთიდან ერთ საათში მისულა „ადგილამდე, სადაც ადრე გადმოდიოდა მთის კუპრი და შემდეგ - ქსანზე სოფელ საძეგურამდე მდინარე საძეგურის შესართავამდე მას ქსნის ორივე ნაპირზე აქვს სახლები". მოგზაურის მინიშნებით „საძეგურთან ზემოთ ქსანზე, ძველად გადმოდიოდა მთის ფისი (ქართულად კუპრი), რისგანაც კირქვას აქვს მოლურჯო-მოშავო ფერი" . ავ. სონღულაშვილის ცნობით: „ნავთობის პროდუქტების გამოსავალი შავი ოზოკერიტის სახით გვხვდება ქსნის ხეობის სოფელ საძეგურთან, სადაც იგი წარმოდგენილია ეოცენური ფიქლების ნაპრალებში".

XX საუკუნის დასაწყისში საძეგურში აღმოჩენილი იქნა ანტიკური ხანის უნიკალური ძეგლი, რომელიც ახალგორის განძის სახელითაა ცნობილი.

საძეგურელი მჭედლის ისაკ ნავროზაშვილის მოგონებით: ლექსო, იაკობა და სოსიკა ნავროზაშვილებს გედესკარში ხვნის დროს უპოვნიათ ოქროს ნივთები: ფაიტონი, ზედადგარი, ჭედილა, ტევანი, საყურეები და სხვა წვრილმანი... „შიშით საბძელში შეუნახიათ, პატრონი არ ყავდესო (იგულისხმება „მცველი", არარეალური პატრონი). ჩაუტანიათ ახალგორში და ჩუმად მიუყიდიათ იგი ვაჭრებისთვის. ამათ თბილისში ჩაუტანიათ და იქ დიდ ფასად გაუყიდიათ"...

ადიდებული მდინარისაგან ჩამორეცხილ სამაროვანზე, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით მიკვლეულ განძს საქართველოში აღმოჩენილ ყველაზე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლად მიიჩნევს იულონ გაგოშიძე. მიეცით რომელ უწარსულო ერსაც გნებავთ ახალგორის განძი და ამ ერს ისტორია ექნებაო - ბრძანებდა ნიკო კეცხოველი.

ფერდობიდან, სადაც განძი იქნა მიკვლეული, ნახევარი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ნასოფლარი გედეს-კარი, სადაც შემორჩენილია კლდის ქვით ნაგები დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების კვალი, ასეთივე ნანგრევების ნაშთებია შემორჩენილი გედეს-კარის ზემოთ, რამდენიმე მეტრში. ს. მაკალათიას დასკვნით, მაღლობზე მდებარე ნასოფლარ გედეს-კარში უნდა ეცხოვრა ხეობის უძველეს მოსახლეობას, „რომელსაც სალოცავი ხატი ჰქონდა ქვემოთ, სადაც საძეგურის განძი აღმოჩნდა. ეს ძვირფასი განძიც ამ ხატის (სალოცავის) საკუთრებას

შეადგენდა". თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ, ს. მაკალათიასაგან განსხვავებით, ახალგორის განძს სამარხეულ ინვენტარად მიიჩნევს ი. გაგოშიძე: „ახალგორის განძი არის ქალის მდიდრული სამარხის ინვენტარიო" - წერს იგი. განძი შედგება 500-ზე მეტი ნივთისაგან და აქედან 300 - ოქროსია. მათგან აღსანიშნავია სასაფეთქლეები შეწყვილებული ცხენების გამოსახულებით, სხვადასხვა ფორმის საყურეები, რკალგახსნილი საბეჭდავები, ოქროს ბალთები, ყელსაბამი გომბეშოს გამოსახულებიანი საკიდებით, საკიდი ჩიტისა და შვლის გამოსახულებით, ოქროს საკისრე რკალები, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ბრინჯაოს შტანდარტი ჯიხვის თავების გამოსახულებით, შტანდარტი ჯიხვის თავებისა და ადამიანის გამოსახულებით, დოქისა და სფერულტანიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, მთის ბროლის, ძვლის, მინის მძივები, სამაჯურები, ფარაკიანი ბეჭდები, ოქროსა და სარდიონის მძივ-საკიდები, შესამოსელთან დაკავშირებული ნივთები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბრინჯაოს სარკე... „ვერცხლის ნივთებიდან აღსანიშნავია იმდროინდელ კულტურულ სამყაროში გავრცელებული ომფალოსიანი ფიალები. ცხენის აღკაზმულობას მიეკუთვნება რახტის შესამკობი ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვანაირი ფირფიტა, ბრინჯაოს რგოლები, ლაგმები. ახალგორის განძის ტიპის ლაგმები ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოშია აღმოჩენილი". სრულიად მართებულად შენიშნავდა ჩვენთან ახალგორის განძზე საუბრისას ქსნის ხეობის მკვიდრი ჯემალ ჩიტიშვილი: „ყველაფერთან ერთად, საძეგურში აღმოჩენილი აღვირის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომლის მსგავსიც საქართველოს არცერთ კუთხეში და არც სხვაგან არ დაფიქსირებულა, იმაზე მიუთითებს, რომ ცხენოსნობა საკმაოდ ძირძველი და კარგად განვითარებული სფერო იყო ქსნის ხეობაში"... ახალგორის განძი სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად, ძვ.წ. აღრიცხვით VI-IV საუკუნეებითაა დათარიღებული. თუმცა განძის ისტორიის მკვლევარებს შორის დათარიღებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა: შ. ამირანაშვილის მოსაზრებით ძვ.წ. აღრიცხვით V საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ; ი. გაგოშიძე ძვ. წ. აღრიცხვით IV საუკუნის დასასრულით ათარიღებს, ა. ტალგრენი - ძვ.წ. აღრიცხვით VII საუკუნით...

როგორც ვ. ხოცუაშვილი წერდა: საძეგურში აღმოჩენილ ნივთებს ახალგორის განძის სახელწოდება „იმიტომ შემორჩა, რომ იგი ძირითადად ახალგორში იქნა შეგროვილი". მაკალათიას მიხედვით კი, განძს ახალგორის უწოდეს იმის გამო, რომ საძეგური მაშინ ახალგორის საბოქაულოში შედიოდა.

ნივთების მოძიებასა და გადარჩენაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილს.

დასასრული მე-8 გვერდზე

ახალგორის განძი

მე-7 გვერდიდან



ნ. კეცხოველის მონათხრობით: 1907-1908 წლებში ექვთიმეს გაუგია, რომ ოქრომჭედლობის ვაჭარი ბერუჩევი (ბერუჩაშვილი) ყიდიდა იშვიათ ოქროს ნივთებს, რომლებიც ახალგორელებისგან ჰქონდა ნაყიდი. ექვთიმემ ბერუჩაშვილისგან ნივთები კავკასიის მუზეუმს შეაძენინა, თუმცა ხვდებოდა, რომ ეს დიდი განძეულის მხოლოდ მცირე ნაწილი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც, დუშეთსა და ახალგორში თავის მოსწავლეებს გაუგზავნა ბარათები - ახალგორში რაიმე განძი ხომ არ არის ნაპოვნიო. გაირკვა, რომ საძეგურელ გლეხებს განძი ახალგორელი ვაჭრის - მზარეულოვისათვის მიუყიდიათ. „ამ დროს დუშეთის ბოქაული განუწყვეტლივ ეძებდა 15 წლის წინ გაძარცული ოქროსკარიანის ნივთებს (საუბარია ალევის სამებაზე - დ.ა.) და ვინაიდან ეგონა, რომ ნივთები გაძარცული ტაძრის საკუთრება იყო, ისინი ჩამოართვა მზარეულოვს და ჩააბარა შესანახად დუშეთის მაზრის სამმართველოს. ე. თაყაიშვილი დაუყოვნებლივ გაემგზავრა დუშეთში და თან ფოტოგრაფიც წაიყვანა. მისდა გასაკვირად, მაზრის უფროსი შეეცადა, დაემალა ნივთები, მაგრამ ბოლოს იძულებული იყო, ეჩვენებინა. აღმოჩნდა, რომ ოქროს ნივთები ერთი გირვანქა და 79 მისხალია, ვერცხლისა კი ორი გირვანქა და 37 მისხალი (საქართველოში გირვანქა უდრიდა 0,4267 კგ.-ს - დ.ა.). გამოირკვა, რომ ნივთები ტაძრის კუთვნილება არ იყო. გადაწყდა მზარეულოვისაგან შეეძინათ ეს განძეული, მაგრამ მაზრის უფროსი ფეხს ითრევდა, ხუთი-ექვსი დღე ალოდინა დუშეთში და ახალგორში არ გაგზავნა. ბოლოს ე. თაყაიშვილი თვითონ ავიდა ახალგორში, ნახა მზარეულოვი და შეიძინა მისგან ეს ნივთები, მიუხედავად იმისა, რომ საძეგურელმა გლეხებმა სარჩელი წამოაყენეს, ნივთებში ფული ჯერ არ მოუცია და ფული ჩვენ უნდა ავიღოთო. ბოლოს ეს საკითხიც მოგვარდა. ისიც გამოირკვა, რომ საძეგურში და ახალგორში გაყიდულია ამ განძის ნაწილი. ვ. მზარეულოვის დახმარებით ე. თაყაიშვილმა ადგილობრივ მოსახლეობაში მოაგროვა ეს დაქსაქსული ნივთები და შეიძინა. ე. თაყაიშვილი ახალგორში 1909 წელსაც იყო და კიდევ დაზვერა; მაშინაც შეიძინა მან რამდენიმე ძვირფასი ნივთი".

ექვთიმე ბოლომდე დიდი რუდუნებით უფრთხილდებოდა ახალგორის განძს საქართველოშიც და საფრანგეთშიც. „დავალებული მაქვას განძის დაცვა და კიდევაც ვიცავ, რამდენადაც შემიძლიაო" - ბრძანებდა იგი და მოთმინებით ელოდა იმ დღეს, როცა კუთვნილ საგანძურს ისევ საქართველოს ჩააბარებდა...

1945 წელს საქართველოში ჩამობრძანებული ჩვენი ეროვნული განძი და მათ შორის საძეგურში ნაპოვნი უნიკალური ნივთები, დღეს აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

დავით ახლოური

ოჯახის სიწმინდის დღე მცხეთა-მთიანეთში მასშტაბურად აღინიშნა

2014 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოცხადდა.

ოჯახი და ტრადიციების პატივისცემა ის ფუნდამენტური ფასეულობებია, რომელთა დაცვასა და სიწმინდეზე დგას ღირსეული ქვეყნისა და თითოეული მოქალაქის სიმტკიცე. ნიშანდობლივია, რომ ოჯახის სიწმინდის დაცვა როგორც ქრისტიანების, ისე სხვა სარწმუნოების მიმდევართათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ჯანსაღი ოჯახი არის ძლიერი და ტრადიციების ერთგული სახელმწიფოს სახე და საფუძველი.

თბილისში მრავალათასიანი საზეიმო მსვლელობა გაიმართა ქაშუეთის ტაძრიდან სამების საკათედრო ტაძრამდე.

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) მრევლს მიმართა და ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „... საუკუნეების განმავლობაში ოჯახი ყოველთვის სიწმინდედ ითვლებოდა ჩვენს ეკლესიაში, მაგრამ დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში ვხედავთ დიდ შეტევას ოჯახურ ღირებულებებზე, აუცილებელი გახდა ოჯახური ღირებულებების უფრო აქტიური მხარდაჭერა და მათი წარმოჩენა, როგორც დიდი სიწმინდის.

...ოჯახი არის ყოფიერების ის ფორმა, რომელიც თავად ღვთისაგან მოგვეცა. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ ოჯახს სიწმინდეს... ადამიანი მოწოდებულია, ყოვლადწმინდა სამების მსგავსად იცხოვროს სიყვარულში. ოჯახში უკავშირდება ერთმანეთს სხვადასხვა თაობა. უფროსი თაობისგან უმცროს თაობას გადაეცემა სულიერი და კულტურული გამოცდილება", — განაცხადა მეუფე შიომ.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, თვითმმართველობასთან და სასულიერო პირებთან ერთად, თეატრონის მიმდებარე ტერიტორიაზე 12:00 საათზე შეიკრიბა, რის შემდეგაც საზეიმო მსვლელობით სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრამდე გაემართა.

მსვლელობის დასრულების შემდეგ სამღვდელოებამ სვეტიცხოველში სავედრებელი პარაკლისი გადაიხადა.

დასრულდა "საქართველოს თავისუფლების თამაშები"

9 აპრილს დაიწყო და 26 მაისს დასრულდა "საქართველოს თავისუფლების თამაშები", რომელიც საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით შეიქმნა და მისი ეგიდით იმართება. "საქართველოს თავისუფლების თამაშები" ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და მისი მიზანია, მოსწავლეებისა და ზოგადად მოზარდი თაობის მიერ, ჩვენი ერისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იდეისა და მისწრაფების - საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის არსის სისხლხორცეული შეთვისება.

სამშობლოს სიყვარულის სწავლება, რა თქმა უნდა, პატარაობიდან იწყება და მასში ყველამ და ყველაფერმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ყველა მოზარდმა უნდა იცოდეს, რომ მისი თითოეული გამარჯვება პირველ რიგში ეკუთვნის საქართველოს და მერე მას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება "საქართველოს თავისუფლების თამაშები", რომლის ორგანიზებაში საქართველოს ყველა რეგიონი იყო ჩართული, მათ შორის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი და ჩვენი – წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეები, ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის მხარდაჭერით.

პატრიოტული სულისკვეთების გაღვივების გარდა, ტურნირის მიზანი სკოლებში ფიზიკური და სპორტული აქტივობის პოპულარიზაციაა, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო სისტემაში ფიზიკური აღზრდა-განათლებისა და სასკოლო სპორტის განვითარებას.

წეროვანში თავისუფალი თამაშები გაიმართა ფეხბურთსა და კალათბურთში. გამარჯვებულებსა და პრიზიორ გუნდებს მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული თასი, მედლები და სიგელები გადაეცემათ.

„თავისუფლების თამაშები", ამავდროულად, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024"-ის მოთელვითი აქტივობაა. აღნიშნული თამაშებით სკოლას კიდევ ერთხელ ეძლევა შესაძლებლობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024"-ის მუნიციპალური თამაშებისთვის გუნდები სათანადოდ დააკომპლექტოს.

5 მაისი – აღდგომა უფლისა

აღდგომა საქართველოში, ისევე, როგორც მთელს ქრისტიანულ სამყაროში, უდიდესი დღესასწაულია. ამ დღეს აღვნიშნავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას, განახლებას. აღდგომა უმთავრესია თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის და იგი გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას აღინიშნება, იუდეველთა პასექის დასრულების შემდეგ, კვირა დღეს (ეს დღე ყოველ წელს, ახალი სტილით, 4 აპრილიდან 8 მაისამდე შუალედში ხვდება).

აღდგომის დღესასწაულის განუყოფელი ნაწილია ბზობა, ბზობას მოჰყვება ვნების კვირა. ვნების კვირაში, წითელ პარასკევს ყველა ოჯახში კვერცხებს წითლად ღებავენ, რაც ქრისტეს ვნების სიმბოლოა. სააღდგომო კვერცხებს აღდგომის დღემდე არავინ მიირთმევს. აღდგომის წინა დღეებში აცხობენ ასევე სააღდგომო პასკას.

ბოლო წლებში სააღდგომო ტრადიციის აუცილებელ ატრიბუტად იქცა მომცრო ჭურჭელში ჯეჯილის გაზრდა, რაც სიცოცხლესა და განახლებას უკავშირდება. აღდგომის დღესასწაულს მორწმუნეთა დიდი ნაწილი ეკლესიაში ხვდება და საზეიმო ლიტურგიას ესწრება, რომელიც დილამდე გრძელდება. აღდგომიდან ერთი კვირის განმავლობაში შეხვედრისას ადამიანები აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს, მისალმების ნაცვლად ამბობენ - „ქრისტე აღსდგა“! და პასუხობენ - „ჭეშმარიტად“! (ადრე ეს ტრადიცია აღდგომიდან 40 დღეს გრძელდებოდა).

აღდგომას ყოველ ოჯახში იშლება საზეიმო სუფრა, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს სააღდგომო წითელი კვერცხები და პასკა. ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ სააღდგომო კვერცხების ერთმანეთზე დარტყმის ტრადიცია, ყველა ცდილობს რაც შეიძლება რთულად დასამტვრევი კვერცხი შეარჩიოს, ვისი კვერცხიც დარტყმისას არ გატყდება მოწინააღმდეგის გატეხილი კვერცხიც მას ერგება. საქართველოში დამკვიდრებულია აღდგომის მომდევნო დღეს სასაფლაოზე გასვლის ტრადიცია. ადამიანები ახლობელთა საფლავებზე გადიან, მიაქვთ სააღდგომო კვერცხი, პასკა, მცირედი სასმელი და საკვები, მოიხსენიებენ მიცვალებულებს და სააღდგომო კვერცხებს საფლავზე ტოვებენ. აღდგომის მომდევნო კვირას კვირაცხოვლობა აღინიშნება.

„...ვის მიმართ და რატომ დაიღვარა ჩვენს გამო დათხეული სისხლი იესო ქრისტესი? ჩვენ ეშმაკის მფლობელობაში ვიყავით, ცოდვით გაყიდულნი, რომლებმაც ვნებათმოყვარეობით ჩვენივე დამახინჯებული მდგომარეობა შევიძინეთ. და თუ გამოსყიდვისას საფასე მიეცემა იმას, ვინც ძალაუფლებას ფლობს: ჩნდება კითხვა: ვის მიმართ და რა მიზეზით იქნა შეწირული ეს საფასური - მაცხოვრის წმიდა სისხლი? თუ ეშმაკისადმი შეიწირა, მაშინ რაოდენ შეურაცხმყოფელია ეს ყოველივე! ამ შემთხვევაში ისე გამოდის, რომ ყაჩაღი, ანუ ბოროტი სული ღებულობს გამოსყიდვის საფასურს, და ღებულობს არა მარტო ღმერთისგან, არამედ თავად მას, უფალს იღებს მსხვერპლად; თავისი სისასტიკისათვის იგი იმდენად დიდ, უზომო ხარკს ღებულობს, რომ ამის გამო სამართლიანად დაგვინდობდა კიდეც. და თუ სხვაგვარადაა, და მამა ღებულობს ამ მსხვერპლს, როგორ ხდება ეს? ჩვენ ხომ მის ტყვეობაში არც ვყოფილვართ? მეორეც, რა მიზეზით შეიწყნარებს მამას სისხლი მხოლოდშობილი ძისა, მან ხომ არ მიიღო მსხვერპლად ისააკი, რომელიც მამამისმა შეწირა? უფალმა ხომ ადამიანის მსხვერპლშეწირვა კრავის შეწირვით ჩაანაცვლა? და თუ ეს ასეა, მაშინ აქედან ჩანს, რომ მსხვერპლი მიიღო მამამ, ოღონდ არა იმიტომ, რომ თავად მოითხოვდა ან საჭიროებდა ამას, არამედ ღვთის განგებულების გამო და იმიტომ, რომ ადამიანი უნდა განწმედილიყო ღვთის განკაცებით, რომელსაც ბოროტის დამარცხებით თავად უნდა გამოვეხსენით და თავისთან ავეყვანეთ თავისივე ძის მეშვეობით, რომელიც ყოველივეს მამის სადიდებლად იქმოდა. ამგვარია ქრისტეს საქმენი, დანარჩენზე კი დუმილი ეგების.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი

გიორგობა – 6 მაისი

წმიდა, დიდებული, დიდმოწამე, ძლევაშემოსილი და საკვირველთმოქმედი გიორგი (+303) მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში. მამამისი მოწამეობრივად აღესრულა. დაქვრივებული დედა კაბადოკიიდან თავის სამშობლოში წავიდა და იქ განაგრძო შვილის ქრისტიანულად აღზრდა.

ჭაბუკი გიორგი რომის ლაშქარში განმწესდა მხედრად. ახოვანმა, მამაცმა და უშიშარმა მეომარმა მალე იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) ყურადღება მიიპყრო. მან თავის პირად მცველად დანიშნა წმიდა გიორგი და მხედართმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა.

კერპთაყვანისმცემელმა იმპერატორმა თავისი განმგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. სენატის საბჭოზე ნიკომიდიაში მან სრული თავისუფლება მიანიჭა პროვინციის მმართველთ ქრისტეს მიმდევართა დასასჯელად და თავის მხრივ მხარდაჭერაც აღუთქვა.

წმიდა გიორგიმ ეს რომ შეიტყო, გაათავისუფლა თავისი მონები, ქონება გლახაკთ დაურიგა, სენატში გამოცხადდა, საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა და ყველა იქ მყოფსაც მოუწოდა, მიეღოთ ეს ჭეშმარიტი სარწმუნოება. თავზარდაცემულმა დიოკლეტიანემ სცადა გადაერწმუნებინა იგი, მაგრამ ამაოდ. მაშინ ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ იგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაედოთ, მაგრამ ღვთის შეწევნით, წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან და თაყვანი სცა ჭეშმარიტ ღმერთს. ამის შემდეგ იმპერატორის განკარგულებით წმიდა გიორგი ღრმა ორმოში ჩააგდეს და თავზე გამოუწვავი გახურებული კირი დააყარეს, ხოლო როცა სამი დღის შემდეგ კირი ამოყარეს და წმიდანი სრულიად უვნებელი იხილეს, იმპერატორის-

ოთარ (ოთო) ზანგურაშვილი

„ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა“ ახალგორში, სოფელ იკოთში, როცა 5 წლის ოთოს 25 წლის მამა კახა ზანგურაშვილი ტრაგიკულად გარდაეცვალა და დაობლდა მუცლადმყოფ ძმასთან ერთად.

სრულიად ახალგაზრდა დედა თამილა ახვლედიანი პატარებს სევდიან-ცრემლიანი იავნანით ზრდიდა... ბებია, ქალბატონი ელისოც, იმედით შესცქეროდა მათ სიცოცხლეს. დავაჟკაცდნენ, დაოჯახდნენ ბიჭები. თვალებცქრიალა პატარძლით მეკო დურგლიშვილით და პატარა შვილიშვილებითაც გაახარა დედა ოთომ და კაიკაცობითაც, მაგრამ...’„ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვინმეს განა?..“

მეხის გავარდნას ჰგავდა ეს სიკვდილი, ეს გლოვა... ისევ აცილებდა ყვავილების მდინარე ახალგაზრდა კაცს მარადიული სამყოფელისაკენ...

დაგვტოვა ოთომ, მაგრამ მისი გული აქ დარჩა – თავის ლამაზ, სყვარულით სავსე ოჯახში, პატარა შვილებთან, ძმასთან, დედასთან, ბებიასთან, ახლობლებთან, მეგობრებთან...

ოთოს ხსოვნა მარადიულად შემორჩება ყველას, ვინც მას იცნობდა, ვისაც თავისი კეთილი გულის სითბო დაუტოვა...

მეგობრები

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს გია დურგლიშვილს და ბაკური ზანგურაშვილს სიძისა და ძმისშვილის

ოთარ ზანგურაშვილის

გარდაცვალების გამო.

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი მასწავლებლის

დაშა ჩიტიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ავე ბრძანებით მას წვერწამახული ლურსმნებგაჩრილი რკინის გავარვარებული ჩექმები ჩააცვეს და ცემით წაიყვანეს საპყრობილემდე.

სხვა მრავალი წამებაც დაითმინა წმინდა გიორგიმ აღსრულებამდე.

წმიდა გიორგი ეწამა 30 წლის ასაკში და ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

ეკლესია წმიდა გიორგის ხსენებას დღესასწაულობს ორჯერ: 23 აპრილს (6 მაისს) - წმიდანის აღსრულების დღეს და 10 (23) ნოემბერს - მისი ბორბალზე წამების დღეს. (ამ უკანასკნელ დღესასწაულს ქართული ეწოდება, რადგან საქართველოდან გადავიდა სხვა ადგილობრივ ეკლესიებში.

ზემა ჯიოევა

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ზემა ჯიოევა. პროფესიით პედაგოგი ათეული წლების მანძილზე მუშაობდა ახალგორის საბავშვო სახლში და მიუხედავად დიდი მწუხარებისა – შვილის ამირან ამირანაშვილის ტრაგიკული გარდაცვალების გამო, მშობლიური მზრუნველობით და სიყვარულით უფერმკრთალებდა უდედმამო ბავშვებს ცხოვრებას.

მშვიდი, კეთილი, გაწონასწორებული, ყურადღებიანი, გულისხმიერი ბრძანდებოდა... ასეთი დარჩება მისი ნამოწაფრების, კოლეგების, ახლობლების, ახალგორელების მარადიულ ხსოვნაში.

დაშა ჩიტიშვილი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მასწავლებელი დაშა ჩიტიშვილი. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა უკანამხრის სკოლაში, ახალგორის საბავშვო ბაღში, ახალგორის პირველ საშუალო სკოლაში. იაკობის უკვდავ „დედაენას“ თითქმის 60 წელი ასწავლიდა პატარებს.

დაშა მასწავლებელმა თაობები აღზარდა, რომლებიც არასოდეს დაივიწყებენ მოყვარულ, სამართლიან, მზრუნველ მასწავლებელს. მის ხსოვნას პატივს მიაგებს მისი ოჯახი: შვილები ნინო და სოსო, სიძე მალხაზ მეშველაშვილი, რძალი დიანა შიუკაშვილი, შვილიშილები ბექა და მარიამი...

მშვიდად იძინე, დაშა მასწავლებელო...

თამარ მამუკოვა

ლარგვისის ტერიტორიული ორგანო მწუხარებით იუწყება მედიცინის მუშაკის, მედდა თამარ მამუკოვას გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თამარ მამუკოვა მთელი ცხოვრება მუშაობდა ლარგვისის საავადმყოფოში, სარგებლობდა პაციენტების, კოლეგების, მთელი სოფლის მოსახლეობის სიყვარულით და პატივისცემით. მის გულისხმიერებას, დახმარებისათვის ყოველწუთს მზადყოფნას არასოდეს დაივიწყებენ ლარგვისელები.

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი მასწავლებლის

ზემა ჯიოევას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ელექტროენერგიის გზა დაბადებიდან ჩვენამდე“

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკ) არსებული ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის პროექტის - „ელექტროენერგიის გზა დაბადებიდან ჩვენამდე“ ფარგლებში, ქ. მცხეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლების - მუხრანის, ახალდაბის და წეროვნის საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ ენერგეტიკის თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი გაიმართა, სადაც გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

სემეკის თავმჯდომარემ, დავით ნარმანიამ პროექტის ყველა მონაწილეს სერტიფიკატები და სასაჩუქრე ნაკრები გადასცა, ხოლო გამარჯვებულებს - პორტატული და პლანშეტური კომპიუტერები. ღონისძიებას ესწრებოდნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი დიმიტრი ზურაბიშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საჯარო სკოლების ხელმძღვანელი პირები, ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები. წეროვნის მე-3 საჯარო სკოლიდან (დირექტორი ირმა ტატიშვილი) კონკურსში წარმატებით მონაწილეობდა 11 მოწავლე. ყველას გადაეცა სასაჩუქრე პაკეტი. დავით კასრაძეს და ნინო კობაურს გადაეცათ ლეპტოპები, ოლია ჭულუხიძეს და მარიამ ცუცქირიძეს – კი პლანშეტები.

„ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ სკოლის მოსწავლეების ინტერესი ენერგეტიკის საკითხების მიმართ იზრდება, რასაც მაქსიმალურად უწყობს ხელს სემეკი და სემეკთან არსებული ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი. სემეკისა და ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის ერთობლივი პრიორიტეტია ენერგეტიკის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლება, პროფესიის არჩევისას ენერგეტიკის სექტორით მათი დაინტერესების გაზრდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს მიეწოდოთ სწორი ინფორმაცია ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების შესახებ, ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის შესახებ, რასაც ცენტრის დახმარებით ვახორციელებთ. ამ მიმართულებით, მომავალშიც არაერთი პროექტი გვაქვს დაგეგმილი“, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

„გარემოს ელჩებმა“ მარადმწვანე მცენარეები დარგეს

სოფლის განვითარებისა და სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი - ლილიფარის ორგანიზებითა და Swiss Capital-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის -„გარემოს ელჩები“ ფარგლებში, 11 მაისს, წეროვნის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით მოეწყო გამწვანების აქცია. ბავშვებმა “გარემოს ელჩების” სტატუსით სკოლის ტერიტორიაზე დარგეს მარადმწვანე მცენარეები.

აქტივობის ბოლოს, მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატები, რომლითაც მიენიჭათ “გარემოს ელჩების” სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი აქტივობები სააღმზრდელო პროცესის შემადგენელი ნაწილია და ბავშვებს ბუნების, გარემოს სიყვარულს, მასზე ზრუნვას და მისი დაცვის უნარ-ჩვევებს უყალიბებს. მადლობა პროექტის ორგანიზატორებს და რაც მთავარია, ბავშვებს, რომლებიც ხალისით ჩაერთვნენ აქტივობაში და გვჯერა, არც მომავალში მოაკლებენ ზრუნვას მცენარეებს, რათა მათი ხელით დარგულმა ნარგავებმა რამდენიმე წელიწადში დაამშვენოს მშობლიური სკოლის გარემო.